ლელა

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

13 აპრილი, შაბათი, 1991 წ.
№ 67 (10480) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიულ სისტემას ქართულ სპორტშიც ბოლო მოეღება

სრულიად საქართველოს ნების გამოხატულებაა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელიც ეროვნული უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომამ მიიღო 1991 წლის 9 აპრილს. უსაზღვროდ გახარებული ვართ, რომ საქართველო თანმიმდევრულად და შეუპოვრად იბრძვის სრული თავისუფლებისათვის. ამიერიდან ჩვენში ბოლო მოეღება იმპერიულ სისტემებს ყველა სფეროში, მათ შორის სპორტში. საქართველო ღირსია და მისი საუკეთესო შვილები, რჩეული სპორტსმენები იმსახურებენ იმას, რომ ჩვენი ეროვნული დროშა მსოფლიო სპორტულ სარბიელზე ფრიალებდეს. იმას, რაც ჩვენ არ გვეღირსა, ჩვენი ტრადიციების გამგრძელებელი ახლანდელი და მომავალი თაობები უთუოდ ეღირსებიან.

მოგილოცავთ, ძვირფასო თანამეგობრელნო!

ოლიმპიური ჩემპიონები:

დავით ციმაკურიძე,
რომან რურუა,
ნუგზარ ასათიანი,
რაფაელ ჩიმიშკიანი,
მიხეილ ქორქია.

ახლახან საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორმა ქ. ასათიანმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ნიკოლაი რუსაკის წერილი და მომავალი თანამშრომლობისათვის ხელშეკრულების პროექტი.

ვაქვეყნებთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის პასუხს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კაბინეტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ნ. ი. რუსაკს

პატივცემულო ნიკოლოზ ივანეს ძე!

ეყრდნობოდა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მსვლელობისას ნათლად გამოხატულ ხალხის ნებას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამიერიდან ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები წყვეტენ მონაწილეობას საკავშირო შეჯიბრებებში და აღარ გამოვლენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარს ვამბობთ სსრ კავშირის სპორტსახკომთან, მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. პირიქით, ჩვენ მზად ვართ გავაღრმავოთ და გავაფართოოთ კონტაქტები, მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, მაგრამ ეს მოლაპარაკება ვაწარმოოთ როგორც თანასწორმა თანასწორთან, როგორც ორი სახელმწიფოს სპორტულ უწყებათა წარმომადგენლებმა. ჩვენი ურთიერთობის სახელშეკრულებო, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე აგების საკითხში ჩვენ და თქვენ ერთ თვალსაზრისზე ვდგავართ.

ამასთან იძულებული ვარ შეგახსენოთ, რომ ეგრეთ წოდებული ცენტრის ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში კვლავაც გრძელდება. მისი ბოლო აქცია იყო სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთი) ტერიტორიაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შემოყვანა. ამგვარი მოქმედებანი დაბრკოლებებს ქმნის ჩვენი მოლაპარაკებების გზაზე. გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა თავის საგანგებო სხდომაზე გადაწყვიტა შეაჩეროს თქვენს მიერ გამოგზავნილი ხელშეკრულების პროექტის განხილვა სამაჩაბლოში ვითარების შეცვლამდე.

ქ. ასათიანი
საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორი

ლელა მესხი— ტურნირიდან ტურნირზე

ამელია-აილენდი (აშშ). ბოლო ორი კვირაა ქალთა ჩოგბურთის ცენტრმა ფლორიდას შტატში გადაინაცვლა. ჯერ იყო და ჰილტონ-ჰედ აილენდმა უმასპინძლა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს მოთამაშეს (არ იყვნენ მხოლოდ მონიკა სელესი და შტეფი გრაფი), ახლა კი ჩოგბურთელთა „ქარავანმა“ თავი ამელია-აილენდში ამოყო. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდს (350 ათასი დოლარი) ბევრი ტიტულოვანი მუშტარი ჰყავს, მათ შორის ორი კვირის წინანდელი შეჯიბრების ფინალისტები — გაბრიელა საბატინი, ლელა მესხი და თვით შტეფი გრაფი...

თბილისელმა ჩოგბურთელმა პირველ წრეში იოლი გამარჯვების შემდეგ ასეთი ტურნირებისათვის უჩვეულოდ მშრალი ანგარიშით (6:0, 6:0) აჯობა უნგრელ ანდრეა ტემეშვარს, მესამე წრეში კი დაამარცხა ამერიკელი ტამი უიტლინგერი — 6:0, 6:1.

დადგა მეოთხედფინალების ჯერი. ლელა მესხის მეტოქე ამ ეტაპზე ესპანელი არანტა სანჩესი იქნება. ნახევარფინალში გასვლისთვის იბრძოლებენ ნატალია ზვერევა (სსრკ) — შტეფი გრაფი (გერმანია), გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), ზინა ჰარისონი — პატი ფენდიკი (ორივე —აშშ).

წარმატებით ასპარეზობს ლელა მესხი წყვილთა ტურნირშიც, სადაც მისი პარტნიორია ამერიკელი სანდი კოლინსი (სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელი ცხოვრობს ტეხასის შტატის ქალაქ ოდესაში). მორიგი შეხვედრა ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა მოუგო ჰოლანდიურ წყვილს (გაბი კორენგელი და ემი ვან ბურენი) — 6:3,7:5.

ბარსელონა. მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელ ვაჟთა ტურნირის მეოთხედფინალში გავიდნენ: ფინელი ველი პალოჰეიმი, არგენტინელები მარტინ ჰაიტე, გილერმო პერეს-როლდანი, იტალიელი ომარ კამპორეზე, ესპანელი სერე ბრუგერა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი გახდა ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის „ავტორი“. ბრუგერამ ორ პარტიაში (6:2,6:4) დაამარცხა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, გერმანელი ბორის ბეკერი.

ტოკიო. იაპონიის ღია ჩემპიონატის მეორე ტურის ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს პირველი „ჩოგნის“ სტეფან ედბერგის (შვეცია) შეხვედრა ამერიკელ ვეტერანთან, 38 წლის ჯიმი კონორსთან (იგი უძლიერესი იყო 1974-1978 წლებში), რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში ამჟამად 577-ე ადგილზეა. ბრძოლა ყველასათვის მოულოდნელად დაძაბული გამოდგა. ედბერგმა გაიმარჯვა გადამწყვეტ პარტიაში მას შემდეგ რაც მისი „მოხუცი“ პარტნიორი საგრძნობლად დაიღალა — 6:4,6:7,6:1.

ამ დღეს გამარჯვებები მოიპოვეს და მომდევნო წრეში გავიდნენ ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), პატ კეში (ავსტრალია), ჯონ მაკინროუ, მაიკლ ჩანგი (ორივე — აშშ) და სხვ.

1 მაისს 10 საათიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო სპორტის სასახლეში ატარებენ საქველმოქმედო ტურნირს კარატეში ჭაბუკთა შორის. ტურნირი ეძღვნება სამაჩაბლოში დაღუპულ მილიციის თანამშრომელთა ხსოვნას. საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე შემოქმედებითი კოლექტივები. შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემათ დაღუპულთა ოჯახებს. გუნდებს, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობა განაცხადი უნდა წარმოადგინონ „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში 22 აპრილამდე.

საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობა

დადგენილება № 276

1991 წლის „11“ აპრილი

ქ. თბილისი

გაზეთ "ლელოს" დამატების "იმედის" რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის წინადადება შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიასთან აღნიშნული ფედერაციის გაზეთი "იმედის" გაზეთ "ლელოს" დამატების სახით რეგისტრაციის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღოს აღნიშნული დამატება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელში გასავრცელებლად შეღავათიანი პროცენტით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ გამინახოს საშუალება მიმდინარე წელს გაზეთ "იმედისათვის" საჭირო ქაღალდის გამოსაყოფად და გაითვალისწინოს მისი უზრუნველყოფა მომდევნო წლებში.

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო
კანცელარიის მმართველი — ბ. ბერიძე

ტურნირები და შედეგები

● **ტოლიდო (ოჰაიოს შტატი).** **მსოფლიოს თასი თავისუფალ ჭიდაობაში აშშ-ს გუნდმა მოიგო, რომელმაც ფინალში, იხვევ როგორც შარშან, სსრკ ნაკრები დაამარცხა 6:4.**

● **მადრიდი.** ბასკონიის გზებზე მრავალდღიანი ველორბოლის მესამე ეტაპზე იტალიელმა კლაუდიო კიაპუჩამ გაიმარჯვა — 188 კმ. 4:56,47-ში დაფარა. კიაპუჩის გადაეცა ლიდერის ყვითელი მაისური.

● **ბარსელონა.** **ევროპის ჩემპიონთა თასს კალათბურთში ქალთა შორის ჩეზენას (იტალია) „იუნიკარი“ დაეუფლა, რომელმაც ფინალში ადვილად დაამარცხა შვეციის „არეიკა“ 84:66.**

● **პარიზი.** პროფესიონალ ველოსიპედისტთა მსოფლიო თასის გათამაშებაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ლიდერთა სამეული გამოიყურება ასე: ჯანი ბუნიო (იტალია) — 1821 ქულა, კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — 1228 ქულა და შარლ მოტე (საფრანგეთი) — 1060 ქულა. ბოლო ორ „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებული ამერიკელი გრეგ ლემონდი ჯერ-ჯერობით მეათე ადგილზეა — 786 ქულა.

1921 წლის მარტი მართლაც შავბნელი ფერიოდია საქართველოს ისტორიაში.

საბჭოთა რუსეთი ჩვენი სამშობლოს ანექსიას ამთავრებდა. საქართველოს მთავრობა ბათუმიდან ემიგრაციაში მიდიოდა. ამით ისარგებლა თურქეთმა, ბათუმსა და მის შემოგარენში თავისი ჯარები შემოიყვანა და აპარა თურქეთთან შეერთებულად გამოაცხადა.

ეს მერამდენედ დაემუქრა აპარას უცხოთა უღლის დადგმა. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში პირნათლად მოიხდეს პატრიოტული ვალი ფაქტობრივად უკვე დაშლილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მებრძოლებმა. მრავალნაკადმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა შეძლო ერთგული ჯარისკაცებისა და ოფიცრების შემოკრება და 18-20 მარტს გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, თურქთა ჯარებმა ბათუმი დატოვეს.

ამ ბრძოლებში დაიღუპა ოთხმოცდაათამდე ერთგული მამულიშვილი. მათგან 23 ბათუმში, თავისუფლების მოედანზე, მხედრული პატივით მიაბარეს მიწას.

შემდეგ თავისუფლების მოედანს ლენინის მოედანი ეწოდა, იქვე მისი ძეგლიც წამოეპიმეს, გმირთა საძვალე კი მოასწორეს და ავტომანქანების სავალი გზის ნაწილად აქცეს. აქამდე კაცმა არ იცოდა, სად იყვნენ დასაფლავებულნი საქართველოს ერთიანობისთვის თავდადებული მამულიშვილები. შარშან ბათუმის სახალხო ფრონტის ინიციატივით მოედანზე საკვლევაძიებო სამუშაოები ჩატარდა და საძმო საფლავიც აღმოაჩინეს. როგორც იქნა, გმირებს საკადრისი პატივი მიეგოთ.

მამულიშვილებო, გვახსოვხართ!

და აი, კიდევ ერთი კარგი საქმე ითავეს საქართველოს სახალხო ფრონტის ბათუმისა და ხელვაჩაურის რეგიონალურმა ორგანიზაციებმა. ახლახან მათი თაოსნობით, ბათუმში მოეწყო 1921 წლის 18-21 მარტს ბათუმის განთავისუფლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი I რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

საკმაოდ წარმომადგენლობითს შეჯიბრებაში, რომელშიც საქართველოს 11 ქალაქისა და რაიონის 47 მოჭიდავე მონაწილეობდა, წონითი კატეგორიის მიხედვით გაიმარჯვეს: გელა მებაღიშვილმა (ყვარელი, 72 კგ.), გიორგი გინტურმა (გორი, 80), კობა თაყაძემ (რუსთავი, 90), დემურ აბუაშვილმა (გორი, 100) და ავთანდილ გუბელაძემ (ქუთაისი, მძიმე წონა). აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოულოდნელი იყო ავთანდილ გუბელაძის წარმატებლობა. იგი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა თბილისელ ებელაშვილთან. საბოლოო, ამ წონაში პირველობა გორელ დემურ აბუაშვილს დარჩა. სეოკ-ის აპარის რეგიონალური ორგანიზაციის პრიზი ყველაზე შედეგიანი გუნდისათვის გორელებმა დაიმსახურეს.

უნდა აღინიშნოს ტურნირის მართლაც შესანიშნავი ორგანიზაცია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით მის სპონსორებს: სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სუბტროპიკს“ და სახელმწიფო ცირკის ფირმა „საქართველოს“.

ტურნირის დამთავრების შემდეგ, ვესაუბრეთ აპარის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარეს ზურაბ მიქელაძეს:

— ყოფილი მოჭიდავე გახლავართ და ძალზე მიხარია, რომ ჩვენში საფუძველი ჩაეყარა შესანიშნავ ტრადიციას — საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნის ტურნირს. განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ამ ტურნირით დაიწყო აპარაში ქართული ჭიდაობის აღდგენა-აღორძინება.

თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ ტურნირი მართლაც კარგად იყო ორგანიზებული და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის აპარის ჭიდაობის ფედერაციას, რომელიც სულ ახლახან შეიქმნა. თუმცა, მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით, მხარში რომ არ ამოგვდგომოდა სეოკ-ის აპარის რეგიონალური ორგანიზაცია. ასპარეზობის გამართვის თაოსანი გარკვეულწილად ისიც გახლავთ და საორგანიზაციო მუშაობის ბევრი სირთულეც მისი დახმარებით გადავლახეთ.

ტურნირზე ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე ვიხილეთ. ისინი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდები არიან და თავიანთი სიტყვა ხვალ-ზეგ უნდა თქვან, ამიტომ, ასეთი შეჯიბრებები მათთვის კარგი სკოლაა.

გამარჯვებულ მოჭიდავეთაგან შევადგინეთ ნაკრები გუნდი და ვფიქრობთ, მოვაწყოთ მინიტურნე თურქეთის რომელიმე ქალაქში. აქვე, ამ შეჯიბრებაზე, დაიბადა ერთი იდეაც — ავაშენოთ აპარაში ფალავნის სახლი. ეს იქნება დასახვენებელი, სავარჯიშო და საშეჯიბრო დარბაზების კომპლექსი, სადაც ჩვენს ფალავნებს საშუალება ექნებათ დაისვენონ, ნაყოფიერად ივარჯიშონ და შეჯიბრებებიც მოაწყონ. ალბათ, საქართველოს არც ერთი რეგიონი არ იტყვის უარს ამ კომპლექსის მშენებლობაში წილობრივ მონაწილეობაზე. ტერიტორიას კი, იმედია, გამოგვიყოფენ.

მუხრან კ[illegible]ბალაძე.
„ლელოს“ [illegible] კორ.

ადამიანი მატიანის ფურცლებზე

ის სპორტშიც და ცხოვრებაშიც რაინდი იყო

ჭიდაობა ბავშვობიდან მიყვარდა. ზაფხულობით მდინარე ტეხურაში ბანაობით გულს რომ ვიჯერებდით, უფროსი ბიჭებისგან შეგულიანებული პატარები სანაპიროზე სახელდახელოდ მოწყობილ ქვიშის სარბიელზე ვეძიძგილებოდით ერთმანეთს. შემდეგ თავად ჩვენი წამქეზებლების ჯერი დგებოდა.

„ნამდვილი“ ჭიდაობა პირველად თბილისში ვნახე. ბიძაჩემმა ცირკში წამიყვანა, ბეკდაუდებელ ფალავნებს გაჩვენებო, მითხრა.

შენობაში ტევა არ იყო. მაყურებლები მოჭიდავეთა თითოეულ ეფექტურ ფანდს სტვენითა და ყიყინით ხვდებოდნენ.. დიქტორმა ლეიბზე ახალი წყვილი იხმო. ჩემი ყურადღება ერთ-ერთის გვარმა მიიპყრო. ქორიძეები ჩვენს სოფელშიც ცხოვრობდნენ, ამიტომ გავიფიქრე, ჯინმე ჩემი შეზობელი ხომ არ არის-მეთქი. სარბიელზე დაკუნთული, თმახუკუკა, მომღიმარი უცხო ჭაბუკი გამოვიდა. მხაჯის ნიშანზე იგი უშიშრად ეძგერა მეტოქეს და ზავი დღე დააყენა — ხან აღმა ატრიალა, ხან — დაღმა. ლეიბთან ახლოს ვიჯექი და კარგად ვხედავდი, ნახევრადმელოტი მოწინააღმდეგე სიმწრის ოფლს როგორ იწმენდდა. „ჩემმა ფალავანმა“ გაიმარჯვა.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ბავშვობის მოგონება მკვიდრად შემორჩა მეხსიერებას. ერთხელ გაზეთში დაბეჭდილ ავთანდილ ქორიძის სურათს წავაწყდი. ბავშვობისას ცირკის სარბიელზე ნანახმა ეპიზოდმა გამიელვა თვალწინ...



გუსტავ ფრეისთან გამარჯვების შემდეგ. მარცხნიდან — გუსტავ ფრეი, დავით ციმაკურიძე და ავთანდილ ქორიძე.

ავთანდილ ქორიძეს ჭიდაობა 15 წლისას დაუწყია პეტრე იორდანიშვილის ხელმძღვანელობით. პირველი წარმატებისთვის 1953 წელს მიუღწევია — ზაპოროჟიეში ჭაბუკთა საკავშირო ჩრდილოეთ მოუგია. ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოჭიდავემ სპეციალისტთა ყურადღება კი თურმე სარატოვში, 1955 წლის საკავშირო ჩემპიონატზე მიიპყრო. პირველსავე ორთაბრძოლაში ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშების გამარჯვებულს, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ზაპოროჟიელ იაკობ პუნკინს სძლია.

— ვერა და ვერ მოვიგდე ხელთ, — იგონებს ამ შემთხვევას პუნკინი, — ჩაუვლებლად კი რას წავაქცევდი... გაენერვიულდი. გაგიგიათ: მე, ოლიმპიური ჩემპიონი, ვერას გავხდი ახალბედასთან, დავიწყე ქაოსური შეტევები. იგი გაბედულად იცავდა თავს...

ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ პუნკინთან გამარჯვება მისთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. მერეც არაერთხელ წაუქცევია მას ეს ცნობილი ფალავანი.

პირველი საკავშირო სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის 1960 წლის ჩემპიონი მერაბ ღუდუშაუ- „მე და ავთომ პირველად 1953 [illegible] ვიასპარეზეთ ერთად ჭაბუკთა [illegible] პირველობაზე. მას შემ- [illegible] ...ეგ, მრავალჯერ გვიგემია გამარჯვების სიტკბოცა და მარცხის სიმწარეც. მახსოვს, 1957 წელს ორივეს მტკიცედ გვჯეროდა, რომ საკავშირო ჩემპიონატიდან ოქროს მედლებით დავბრუნდებოდით. მიზანთანაც ახლოს ვიყავით. ფინალამდე ყველა შეხვედრა მოვიგეთ. მე ლუგანსკელ ევგენი ზუბკოვსკის ვხვდებოდი. ჩემპიონობისთვის ქულებით წაგებაც მყოფნიდა, მაგრამ მეექვსე წუთზე მეტოქის ფანდზე წამოვეგე და სუფთად დავმარცხდი. ავთოსაც არ გაუმართლა, ივან კორშუნოვმა სძლია. და საერთოდ, ავთოს საკავშირო ჩემპიონატებზე ბედი არ წწყალობდა“.

მართლაც, საბჭოთა სპორტის ისტორიაში ავთანდილ ქორიძე, ალბათ, ერთადერთი მოჭიდავეა, რომელმაც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო ტურნირში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კი ვერც ერთხელ ვერ გახდა.

„1957 წელს მოსკოვში ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრული თამაშები ტარდებოდა. — განაგრძობს ბატონი მერაბი. — საკავშირო პირველობის პრიზიორები საწვრთნელ-შესარჩევ შეკრებაზე მიგვიწვიეს. ავთომ შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. მე და ჯემალ შენგელია, რომლებიც შინ გამოგვიშვეს, „არალეგალურად“ ავთოსთან დავრჩით, ერთად გვეძინა, თამაშებსაც დავესწარით.

პირველად ჰელსინკის ოლიმპიადის პრიზიორს ფინელ რაუჰალას შეხვდა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. შემდეგ ხალიჩას გააკრა ავსტრიელი, სირიელი და უნგრელი ფალავნები. ფინალში ბულგარელ ათანას არგიროვს მოუგო და ოქროს მედალი დაიმსახურა.

1958 წლის სეზონიც იღბლიანად დავიწყეთ. მოსკოვში პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს კლასიკოსებმა გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ. პირად პირველობაში მე, ავთომ, გოდერძი ჩიტაშვილმა და დავით გვანცელაძემ გავიმარჯვეთ. შემდეგ ლვოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე გავემგზავრეთ. მე და ავთო ფინალში გავედით, მაგრამ „ვერცხლის“ მიჯნას ვერც ამჯერად გადავაბიჯეთ“....

1958 წლის მიწურულს თბილისში საქართველოს კლასიკოსები იმ დროს აღიარებულ შვედ მოჭიდავეებს შეხვდნენ და გამანადგურებელი ანგარიშით — 14:2 სძლიეს. ავთანდილ ქორიძემ „რკინის კაცად“ მონათლული ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებული და მსოფლიო ექსჩემპიონი გუსტავ ფრეი დაამარცხა. დიდი ხანია, არ შეგხვედრივარ ასეთ ძლიერ და საინტერესო მოწინააღმდეგეს, — უთქვამს შვედს, — თუ იგი ასე იჭიდავებს, მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

...რომის ოლიმპიურ თამაშებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა. საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები გუნდის წევრობის კანდიდატებს გამოცდილების მისაღებად და მომავალი შესაძლო მეტოქეების გასაცნობად სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე აგზავნიდნენ. 1959 წლის აგვისტოში ავთანდილ ქორიძე, მერაბ ღუდუშაური, იან როტსი და არმაის საიადოვი იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში „ადრიატიკის თასზე“ გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ. ქორიძემ აქ დამაჯერებლად დაამარცხა რუმინელი გეორგიუ, თურქი რიზა დოგანი, მასპინძელთა კერპი ბრანკო მარტინოვიჩი; ფინალში უნგრელ პოიაკს მოუგო და თასს დაეუფლა.

1960 წელი ქართველი კლასიკოსებისთვის დიდი გამოცდის წელი იყო. ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე მოჭიდავეებს ჯერ საკავშირო ჩემპიონატში უნდა ეასპარეზათ. აქ შეერჩეოდა ნაკრების კანდიდატები. თბილისში მერაბ ღუდუშაურმა, დავით გვანცელაძემ და როსტომ აბაშიძემ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს. ავთანდილ ქორიძე სარატოვში გამოდიოდა. მან აქაც ფინალური ორთაბრძოლა წააგო მინსკელ ივან კორშუნოვთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა პოდოლსკში მოიყარეს თავი. საკონტროლო-შესარჩევი შეხვედრების შემდეგ გუნდიც დაკომპლექტდა — ივან კოჩერგინი (52 კგ), ოლეგ კარავაევი (57), მერაბ ღუდუშაური (62), ავთანდილ ქორიძე (67). დავით გვანცელაძე (75), ნიკოლაი ჩუჩალოვი (79), გივი კარტოზია (ქვემძიმე), ივან ბოგდანი (მძიმე) და სათადარიგო როსტომ აბაშიძე.

— პოდოლსკში საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაი რომანოვი ჩამოვიდა. — იგონებს მერაბ ღუდუშაური. — მისი სურვილისამებრ, ნაკრების კანდიდატები კვლავ შეგვაჯიბრეს ერთმანეთს. მე ირკუტსკელი ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვირუპაევი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სტაშკევიჩი დავამარცხე, ავთომ კი კორშუნოვს, როსინსა და ჟიტინნიოვს მოუგო. ნაკრების სხვა წევრებმაც დაადასტურეს თავიანთი „შეუვალობა“, მაგრამ, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე რომანოვს განუცხადებია, გუნდის ეროვნული შემადგენლობა არ მომწონსო. ნაკრებში ხომ ხუთი ქართველი ვირიცხებოდით. საბოლოოდ, რომში ჩემ მაგივრად ვირუპაევი, გვანცელაძის ნაცვლად კი მსოფლიო ექსჩემპიონი გრიგორი გამარკინი წაიყვანეს...

რომის ოლიმპიური სარბიელი ავთანდილ ქორიძისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. პირველივე შეხვედრაში მან მასპინძელი დე სილვა დამარცხა, შემდეგ ამერიკელ ნორდრუპს მოუგო. მესამე წრეში მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონ ლეპტონენს დაეჭიდა. ფინელმა სპორტსმენმა მსაჯების დახმარებით ორთაბრძოლა ფრედ დაამთავრა. არბიტრებზე გაბრაზებულმა ქართველმა ფალავანმა ჯავრი ბერძენ მონდიზე იყარა — მეხუთე წუთისთვის „ხიდურზე“ გადაიყვანა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა. ნახევარფინალში ბულგარელ იანჩევს შეხვდა.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე: „რომში, როგორც სათადარიგოს, არ მიჭიდავია, ამიტომ ვცდილობდი, რაც შემეძლო, ავთოს დავხმარებოდი, თუმცა იგი ჩემ გარეშეც კარგად ართმევდა თავს საქმეს. ბულგარელ იანჩევთან შერკინება დაიწყო თუ არა, ქართველმა ფალავანმა ზედიზედ რამდენიმე ეფექტური ილეთი ჩაატარა, მაგრამ მსაჯებმა არც ერთი მათგანი არ შეაფასეს. არბიტრებისგან გულმოცემული ბულგარელი მოჭიდავე ხალიჩიდან გაქცევასაც არ ერიდებოდა. ორთაბრძოლა რომ დამთავრდა, მსაჯებმა მოულოდნელად გამარჯვება იანჩევს მიაკუთვნეს, რომელიც სიხარულით ცას ეწია, გოგნებული ავთო კი სარბიელს არ ტოვებდა. დარბაზში მაყურებლებმა გამაყრუებელი სტვენა და ყვირილი ატეხეს „ქორიძინის“ (ასე მონათლეს იგი იტალიელებმა) დასაცავად.

როცა მთავარ მსაჯთა კოლეგიასთან დავამ შედეგი არ გამოიღო, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის რომანოვის საშუალებით ჩვენების პროტესტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„დილა“ (გორი) — „ივერია“ (ხაშური) 3:1 (0:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„დილა“: ტოგონიძე, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, ანიაშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე (მიქელაძე), ხორგუაშვილი.

„ივერია“: ბრიაუნისი, რ. ნოზაძე, ჯ. ნოზაძე, მაღრაძე, ჯანგურიძე, ბარანიშვილი, ქიმერიძე, კისელიოვი, მკედლიშვილი, მღვდელაძე (კვანტალიანი), რობაქიძე.

მსაჯები: ვ. შელია (გაგრა), ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. ჯულაიძე (სამტრედია).

გააფრთხილეს: წიკლაური.

თავიდანვე ვიტყვით — შეხვედრა ერთობ კორექტულად წარიმართა. მასპინძლებმა იმთავითვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მატჩის ბოლომდე არ დაუთმიათ იგი. აღსანიშნავია „ივერიის“ მეკარის ბრიაუნისის თამაში, რომელიც. სამ გაშვებული ბურთის მიუხედავად, სტუმართა გუნდში ამ დღეს საუკეთესო იყო.

შეხვედრის მე-60 წუთზე მარჯვენა ფრთიდან ხორგუაშვილის წამოწყებული კომბინაცია გოლით დააგვირგვინა შავდათუაშვილმა, რომელმაც თავით გაგზავნა ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში.

სტუმართა ერთ-ერთი იშვიათი შეტევის დროს, მე-80 წუთზე, კისელიოვმა ისარგებლა „დილას“ მცველების უყურადღებობით და ანგარიში გაათანაბრა. ამან გორელთა იერიშები უფრო გააქტიურა და „ივერიის“ კარის აღების კარგი შანსი მიეცათ: ანიაშვილს, ნეფარიძეს, მიხანაშვილს, მარეხაშვილს, ხორგუაშვილს... „ივერიის“ მეკარეს, რომ იტყვიან, ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა.

მატჩის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, კონდრატიევ-მიხანაშვილის კომბინაცია და... ხაშურელებმა ცენტრიდან განაახლეს თამაში.

მატჩის ბოლო წუთზე მასპინძელთა გუნდის კაპიტანმა ხორგუაშვილმა ისარგებლა მეკარის შეცდომით და ოცდათხუთმეტი მეტრიდან ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი — 3:1.

რამინ უურაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.
გორი.

„ჟუთაისი“ (ჟუთაისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:0 (1:0).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„ჟუთაისი“: თევზაძე, წიქარიშვილი, წოფწივაძე, ბზიკაძე, შავგულიძე, მაღლაკელიძე, დვალიშვილი (ჯანხოთელი), ფაიქიძე, ჯანაშია, დარახელია, შენგელია (ხუნდაძე).

„გურია“: ქანთარია, ტყემბუჩავა, გუჯაბიძე, კეტაშვილი, კაბისაშვილი, ცომაია, ბარათაშვილი, ჩხაიძე, მიქაბერიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, (თბილისი), რ. ჩიქოვანი, ხ. პრავოვი (ორივე — გაგრა).

გააფრთხილეს: ტყემბუჩავა.

ამ მატჩის შედეგი მხოლოდ ერთი შეხვედვით არის მოულოდნელი თამაშის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, მასპინძლებს უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ გამარჯვება, რადგან ძალთ უამრავი საგოლე მომენტიდან მხოლოდ სამი გამოიყენეს. „გურიის“ აკადემიურ სტილს ქუთაისელებმა სწრაფი თამაში დაუპირისპირეს და საწადელსაც მიაღწიეს. უკვე მე-3 წუთზე დარასელიამ საჯარიმო მოედნის სიახლოვიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება და ქანთარია უძლური აღმოჩნდა რაიმე ეღონა — 1:0.

შესვენებამდე მასპინძლებმა მრავალი საგოლე მომენტის გამოყენება ვერ შეძლეს.

მეორე ნახევარში ქუთაისელთა გუნდმა უფრო ძლიერად შეუტია, კარის აღება შეეძლოთ ჯანაშიას, ფაიქიძეს, დვალიშვილს, მაგრამ უშეცდომოდ მოქმედებდა ლანჩხუთელთა კარის დარაჯი. მიუხედავად ამისა, ორ ეპიზოდში მანაც ვერაფერი გააწყო: 77-ე წუთზე დვალიშვილის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ხუნდაძემ და ორამდე გაზარდა ანგარიში, შეხვედრის მიწურულს კი ლანჩხუთელთა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ფაიქიძემ სამამდე გაზარდა ანგარიში.

იუზა კაციტაძე,
„ლელოს“ კორ.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:0 (1:0).

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„ოდიში“: გელენავა, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, შონია, მალანია (ჯიქია), შეროზია, კვარაცხელია, უიზილაშვილი (გოგოხია), თევზაძე.

„ამირანი“: მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შამუგია, შიროკი, ღურწკაია, ურთქმელიძე, ქობალია, გაბისონია (გუჩუა), პაპასკირი (გეთია).

მსაჯები: ჯ. ნერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).

გააფრთხილეს: კვიტატიანი, პაპასკირი.

თამაშის დასაწყისშივე ზუგდიდელებმა მეტოქეებს სწრაფი ტემპი შესთავაზეს. უკვე მე-12 წუთზე ყიზილაშვილის უძლიერესი დარტყმა „ამირანის“ კარის ზედა ძელმა მოიგერია, ცოტა ხანში შონია გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ უშედეგოდ. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ოჩამჩირელებს მხოლოდ ერთხელ მიეცათ კარის აღების კარგი შანსი — ძალამიძის ძლიერი დარტყმა ოდიშელთა მცველმა ნაჭყებიამ მოიგერია. მიუხედავად ზუგდიდელთა არაერთი სახიფათო იერიშისა, გოლი მხოლოდ 43-ე წუთზე გავიდა: შონია მარცხენა ფრთიდან შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და ეფექტური გოლიც გაიტანა.

მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, ფაქტობრივად, ცალ კარში თამაში, 52-ე წუთზე მასპინძელთა მრავალსვლიანი კომბინაცია თევზაძის გოლით დასრულდა. ათიოდე წუთში შეროზიამ მესამე ბურთი შეაგდო მეტოქის კარში.

დიდი ანგარიშით დამარცხების საშიშროებამ სტუმრები გამოაცოცხლა, მათ რამდენიმე კონტრიერიშიც განახორციელეს, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა მეკარე გელენავა, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა ამ შეხვედრაში მასპინძელთაგან საუკეთესო მოთამაშის პრიზი.

ოჩამჩირელთა აქტიურობის საპასუხოდ, სულ მალე „ოდიშმა“ მეოთხე გოლი გაიტანა: გოგოხია მეტოქეთა მეკარის მიერ დარტყმულ ბურთს დაეუფლა მოედნის ცენტრში, გრძელი გადაცემით „მოძებნა“ შეროზია, რომელმაც ახლო მანძილიდან წერტილი დაუსვა მატჩის შედეგს. 4:0 — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა. შინ გამართულ სამივე თამაშში ზუგდიდელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს, თუმცაღა, გუნდს მისი ლიდერის მელორ ბიგვავას გარეშე უწევს თამაში.

რომან გაბისონია,
„ლელოს“ კორ.

„ბორდა“ (რუსთავი) — „ალაზანი“ (ბურჯაანი) 4:0 (4:0)

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 10 აპრილი.

„ბორდა“: შეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი (ბურნაძე), კუდინოვი, ქასრაშვილი (ალადაშვილი), თორლაშვილი, ტარიელ კაპანაძე, კილასონია, ავთანდილ კაპანაძე, ფანცულაია, ლობჟანიძე.

„ალაზანი“: ჭუნიაშვილი (მალისოვი), შუბითიძე, კევლიშვილი, ლობჟანიძე (პოზოიანი), ძნელაძე, სანადირაძე, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოლაშვილი, თეთრაული (შეხვატოვი), კობახიძე.

მსაჯები: ვ. ეჯიბია, ლ. მგელაძე. (ორივე — თბილისი), მ. კობიაშვილი, (დუშეთი).

გააფრთხილეს: კუდინოვი.

მეხუთე ტურის შეხვედრამდე რუსთავის „გორდამ“ ქულათა საკმაო რაოდენობა დაკარგა. სწორედ ამან განაპირობა რუსთაველთა მონდომება, რასაც შედეგიც მალე მოჰყვა — მე-5 წუთზე ავთანდილ კაპანაძემ გახსნა ანგარიში, ოთხი წუთის შემდეგ მის მიერვე დარტყმული ბურთი „ალაზნის“ მეკარე ჭუნიაშვილს ხელიდან გაუვარდა და კუდინოვმაც არ დაახანა — 2:0. მალე გურჯაანელებს მიეცათ ერთი საპასუხო გოლის გატანის საშუალება, მაგრამ თეთრაულის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია მეშკოვმა.

24-ე წუთზე ტარიელ კაპანაძემ კარგა ხანს „აწვალა“ ბურთი „ალაზნის“ საჯარიმო მოედანზე, ბოლოს კი გადააწოდა კილასონიას, რომელმაც ანგარიში სამამდე გაზარდა. ეჭვი არ იყო, რუსთაველებს გამარჯვება „ველარსად გაექცეოდათ“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მონდომებით იბრძოდნენ. ჯერ ხვიჩა ქასრაშვილის დარტყმამ შეაზანზარა „ალაზნის“ კარის ძელი, შემდგომ კუდინოვმა და თორლაშვილმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გაზრდის ხელსაყრელი შესაძლებლობები 35-ე წუთზე კი გურჯაანელმა ზაალიშვილმა ვერ შეძლო პენალტიის გოლის გატანა.

პირველი ტაიმის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, ფანცულაია მარჯვედ გაეკეცა მცველებს და... სტუმრებმა მეოთხედ დაიწყეს ცენტრიდან თამაში.

შესვენების შემდეგ თამაშის სიმძაფრე დაცხრა და პირველი ტაიმის ანგარიში — 4:0 „გორდას“ სასარგებლოდ არ შეცვლილა.

რაჟდენ გაბრიჭიძე,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„კოლხეთი“ (ხობი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:0 (0:0).

ხობი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„კოლხეთი“: ბაბუაძე, ბოსტანჯიანი (ფარფალია), თევზაძე, შურღაია, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე (ქალუჯა), გვახალია, გოგაძე, პიმუშინი, ჭიკინაძე.

„სამგურალი“: მიქაძე, ხარაბაძე (იონანიძე), გოგოლაძე, ჭელიძე, ფეხტვენიძე, რატა იობიძე, ცნობილაძე, სიკინავა, ჭყონია, ბაბუნიძე, ჭაბუკი იობიძე.

მსაჯები: ო. გუნთაძე, ზ. ლაცაბიძე, დ. თოდუა (ხამიევი — თბილისი).

წლევანდელი ჩემპიონატი „კოლხეთმა“ ერთობ წარუმატებლად დაიწყო. სტუმრად დაკარგულ ქულებს ისიც დაემატა, რომ შინ „სანავარდოსთან“ ერთ ქულაზე მეტის აღება ვერ შეძლო. „სამგურალთან“ გამარჯვება გუნდსაც სწყუროდა და გულშემატკივარსაც. მატჩი საინტერესოდ წარიმართა, განსაკუთრებით მეორე ნახევარი. პირველ ტაიმში ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოიჩინა თავი, რადგან ფეხბურთელები კარის უსაფრთხოებისთვის უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე შეტევისთვის.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა იგრძნეს, რომ ახეთი თამაშით ბევრს ვერაფერს მიაღწევდნენ, ამიტომ სწრაფად ამოქმედდნენ. გოლის გატანის პირველი რეალური შანსი 50-ე წუთზე მიეცა შამფორიას, რომელმაც კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავით გაგზავნა მეკარისგან მარცხენა კუთხეში, მაგრამ ამ შემთხვევაში მცველებმა იმარჯვეს. შემდეგ ჭიკინაძეს და გვასალიას შეეძლო ანგარიშის გახსნა. 65-ე წუთზე, მორიგი შეტევის შემდეგ, სტუმართა მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს კართან ახლოს მყოფი პიმუშინი, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

75-ე წუთზე კვლავ პიმუშინმა გაბრიწინა თავი — საჯარიმო ხაზთან ახლოს მიიღო ბურთი, მოატყუა ორი მცველი და ძლიერად დაარტყა მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში. მიქაძე ამჯერადაც უძლური აღმოჩნდა — 2:0.

სტუმრებს 79-ე წუთზე შეეძლოთ შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ხარაბაძემ ცარიელ კარს ააცილა ბურთი. „სამგურალმა“ კიდევ რამდენიმე მწვავე კონტრიერიში განახორციელა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

ნუგზარ ქვანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1:0 (0:0).

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე, ბარამიძე (ტუღუში), შეკვანაძე, კალატოზიშვილი, ჩხაიძე, კაშია (კალანდაძე), ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაჭუტაძე, ამაშუკელი.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ნადარეიშვილი, შენთეშაშვილი, ჩალუნელი, უულიაშვილი, კოპალეიშვილი, ზეიკიძე (ტარტარაშვილი), შალამბერიძე, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: ა. მილჩენკო, დ. ხანაია, (ორივე — ხოხუში), ლ. რაზმაძე (გორი).

მიუხედავად იმისა, რომ მატჩამდე გაწვიმდა და მინდორი დასველდა, შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა და სტადიონზე მოსული გულშემატკივარი საინტერესო თამაშის მოწმე გახდა. და თუ ეს მატჩი უხვგოლიანი არ აღმოჩნდა, ეს, პირველ რიგში, ორივე გოლკიპერის დამსახურებაა. პირველი საგოლე მომენტი მე-17 წუთზე შეიქმნა — თბილისელმა მინაშვილმა მარცხენა ფრთაზე კარგი გორღვევა განახორციელა, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ოზურგეთელთა მეკარემ ოსტატურად მოიგერია ბურთი. სამი წუთის შემდეგ კი ჩიგოგიძე-ამაშუკელი-კალატოზიშვილის სამსვლიანი კომბინაცია თბილისელთა მეკარის ოსტატური ნახტომით დასრულდა.

მეტოქეები შემდგომაც აქტიურობდნენ, ოზურგეთელთაგან ჩიგოგიძემ, კაშიამ, მაჭუტაძემ და ამაშუკელმა „გაწვალეს“ თბილისელთა მცველები და მეკარე გვენცაძე, „შევარდენი-1906“-ის წევრთაგან კი — შალამბერიძე, მინაშვილი და ქობელაშვილი ცდილობდნენ ანგარიშის გახსნას.

მეორე ტაიმში იმატა სახიფათო მომენტების რაოდენობამ. გოლიც მალე, 48-ე წუთზე გავიდა. ოზურგეთელთა შეტევა ბურთის გატანით დააგვირგვინა მაჭუტაძემ. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

ნუგზარ ასათიანი,
„ლელოს“ კორ.

„ცხუმი“ (ხოხუმი) — „სულორი“ (ვანი) 2:2 (1:1)

ხოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„ცხუმი“: ეორეულიანი, ჩიბრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი (ბოხონელიძე), პაპავა, გოგრიჭიანი, ცავა, გაბისკირია.

„სულორი“: კიკალეიშვილი, კანკაძე, გურამ ვერულაშვილი, ზენაიშვილი, გიზო ბრეგვაძე, ორმოცაძე (არველაძე), პაიკიძე, ბუიშვილი, ხურციელავა (ძაგნიძე), ჯიმშერ ვერულაშვილი, [illegible]

მსაჯები: ხ. კილაძე, მ. ბერიძე. ზ. დარჩია (სამეგრელო).

გააფრთხილეს: კანკაძე, არველაძე.

ადგილობრივი მაყურებლები ტაშით შეეგებნენ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტს, რომელმაც ამ დღეს საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა გაზრებული და მობილური თამაშით.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. მე-3 წუთზე ცაავამ უძლიერესად დაარტყა და ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. სტუმრებმა დასაწყისშივე რამდენიმე შეტევა განახორციელეს და ორმოცაძემ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. სოხუმელებმა გოლს შტურმით უპასუხეს. მეოცე წუთზე კურგენიანი 22 მეტრი მანძილიდან ლამაზი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს. ერთი წუთის შემდეგ ჯიმკარიანსა და გაბისკირიას შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ მათ მიერ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული ბურთები ასცდა მიზანს.

მეორე ნახევარში სოხუმელები უფრო აქტიურად ათამაშდნენ და სულორის კართან ხიფათი შეიქმნა სახიფათო მომენტები. ერთ ეპიზოდში მალანიას დარტყმული ბურთი ძელმაც მოიგერია. 70-ე წუთზე გოგიაშვილის ზუსტი დარტყმის შედეგ „ცხუმი“ დაწინაურდა — 2:1. ამის შემდეგაც ორ შეუნელებათ იერიშს სოხუმელებს, მაგრამ მათ მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. მიმდინარეობდა შეხვედრის ბოლო წუთი, მაყურებელი გამარჯვების იმედით ტოვებდა ტრიბუნებს, როცა ჯიმშერ ვერულაშვილმა პარტნიორისგან კარგი გადაცემა მიიღო და გაათანაბრა კიდეც ანგარიში.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„სანავარდო“ (სამტრედია) — „მზიური“ (ბალი) 1:0 (1:0)

სამტრედია: ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 10 აპრილი.

„სანავარდო“: თოდაძე, ქოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დ. თვალაბეიშვილი, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ნოზაძე, ვ. ბრეგვაძე, კოტრიკაძე, ბრეგვაძე.

„მზიური:“ მაკასარაშვილი, კვიკვეხკირი, ფარფალია, თემურ ღურწკაია, დავით ღურწკაია, კაკუბავა (ქანთარია), ჯღარკავა, მორგოშია, ჩხეტია, ხარჩილავა, მეტრეველი.

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ე. სილაგავა, რ. ტალიაშვილი (ხამიევ — თბილისი).

გოლი: ლორთქიფანიძე.

* * *

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „იბერია“ (თბილისი) 1:2 (1:1)

ფოთი. „კოლხეთის“ სტადიონი. 10 აპრილი.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, თიბილაშვილი, ქჯაია, გოორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, გენძეხაძე, თვარაძე, ქობალია.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ინალიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა (ჯამარაული), ყაველაშვილი (ნემსაძე), გოგიჩაიშვილი.

მსაჯები: მ. ჭელიძე, ი. შალამბერიძე, თ. ლორთქიფანიძე (ხამიევ — თბილისი).

გააფრთხილეს ქჯაია.

გოლები: ქობალია, ინალიშვილი, კაჭარავა.

გაერთიანების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი — მდგომარეობა 12 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ოდიში“ (ზუგდიდი)	5	4	0	1	12-1	12
„იბერია“ (თბილისი)	5	3	2	0	12-4	11
„ცხუმი“ (ხოხუმი)	5	3	2	0	8-4	11
„ბათუმი“ (ბათუმი)	5	3	1	1	9-4	10
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	5	3	1	1	9-6	10
„გურია“ (ლანჩხუთი)	5	3	1	1	5-4	10
„დილა“ (გორი)	5	3	0	2	8-7	9
„გორდა“ (რუსთავი)	5	2	1	2	8-5	7
„კოლხეთი“ (ხობი)	5	2	1	2	7-4	7
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	5	2	1	2	4-4	7
„სამგურალი“ (წყალტუბო)	5	2	1	2	4-4	7
„სანავარდო“ (სამტრედია)	5	2	1	2	6-8	7
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	3	2	0	1	5-5	6
„ალაზანი“ (გურჯაანი)	5	2	0	3	5-10	6
„მზიური“ (ბალი)	5	1	1	3	3-8	4
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	5	1	0	4	6-8	3
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	5	1	0	4	3-9	3
„ივერია“ (ხაშური)	5	1	0	4	2-12	3
„სულორი“ (ვანი)	4	0	3	1	4-6	3
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	4	0	0	4	2-9	0

კალეიდოსკოპი

ეს საოცარი ფორმენი

— რა მოხდება, რომ გაიმართოს ჩემი მატჩი მაიკ ტაისონთან? აი, რა — მაყურებელი სულ ორ დარტყმას იხილავს. დიახ, დიახ! ჯერ მე გავარტყავ ტაისონს, შემდეგ კი იგი დაეწარცხება და თავს დაარტყამს იატაკს! — განუცხადა ჟურნალისტებს ჯორჯ ფორმენმა.

— დამპატიჟეთ როცა გინდათ, გნებავთ, გვიან ღამითაც. გამიმასპინძლდით, რითაც გენებოთ. მე არ ვიცი, რა არის დიეტა. მისი გაგონებაც კი არ მინდა. ვიცი, რომ ძალიან ბევრს ვიწონი. გაცილებით მეტს, ვიდრე მოკრივეს შეეფერება. 42 წლისა ვარ, მაგრამ ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამიტომ, რომ საქმე გაქვთ ნამდვილ ფენომენთან. დიახ, მე მსოფლიოს ერთ-ერთი სასწაული ვარ.

აი, ფორმენის კიდევ ერთი აზრი.

— ზოგჯერ მოკრივეები ტრაბახობენ, რომ რინგზე ისე იბრძოლებენ, რომ ერთ დარტყმასაც კი არ მიიღებენ. არ დაუჯეროთ! განა შეიძლება წვიმაში მოჰყვე და ოდნავაც არ დასველდე?

„მოკრივის რეაქცია უფრო სწრაფია“

ნოვი სადის საჰადრაკო ოლიმპიადის ერთ-ერთ ტურს განთქმული მოკრივე სლობოდან კაჩარი ეწვია. კაჩარმა, რომელიც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი იყო ქვემძიმე წონის პროფესიონალთა შორის, უპირველეს ყოვლისა, მოკრივეთა დარბაზში შეიხედა, სადაც ამ დროს მოჰადრაკეთა შეჯიბრება მიმდინარეობდა ელვისებურ ჰადრაკში.

— კრივი და ჰადრაკი გონებას მშვენივრად ავარჯიშებენ. მოკრივეს, ისევე, როგორც მოჰადრაკეს, კომბინირების, მეტოქის მოქმედების წინასწარი განჭვრეტის უნარი სჭირდება. მაგრამ ერთი განსხვავება მაინც არის — მოკრივის რეაქცია გაცილებით უფრო სწრაფია.

„ჰადრაკის გვირგვინოსნები“

იუგოსლავიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ახლახან გამოცემული სერია „ჰადრაკის გვირგვინოსნები“. იგი 13 წიგნისგან შედგება — თითოეული ეძღვნება მსოფლიო ჩემპიონს, ვილჰელმ სტეინიცდან გარი კასპაროვამდე.

ამ წიგნებში თავმოყრილია ბიოგრაფიული ნარკვევები, დოკუმენტები, სხვადასხვა საინტერესო ცნობები, იშვიათი ფოტოსურათები. ძირითადი ნაწილი ეთმობა ჩემპიონების რჩეულ პარტიებს, რომლებიც მიხეილ ტალმა ამოკრიბა, კომენტარები კი თვით ჩემპიონებს ეკუთვნით.

ერთი სიტყვით, ამ სერიის მფლობელს ნათელი წარმოდგენა შეექმნება მსოფლიოს უძლიერესი მოჰადრაკეების შემოქმედებაზე, მათ შედეგებზე.

სერია შეადგინა ცნობილმა საჰადრაკო ჟურნალისტმა დმიტრიე ბელიცამ.

გოგოლებს უფრო დასდევდა

შავკანიანი ჯიმი ჰარტვიგი, რომელიც ადრე გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშობდა, 1990-91 წლების სეზონში ლაიფციგის „ზაქსენს“ ედგა სათავეში. რახან გუნდი მარცხს მარცხზე განიცდიდა, ჰარტვიგი გაათავისუფლეს. აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით გუნდის დირექტორატის წარმომადგენელმა:

— არა, ჰარტვიგი აშკარად არ გამოგვადგა. იგი უფრო მონდომებული იყო ლაიფციგელი გოგოების დევნაში, ვიდრე ფეხბურთელების წვრთნაში.

კალეიდოსკოპი

საშაადრაკო კომპოზიცია

შაამათი 2 სვლაში!

ორსვლიანი ამოცანა კომპოზიციის ყველაზე გავრცელებული ჟანრია. მისი პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ ავტორისეული ჩანაფიქრის „აღმოჩენა“ შედარებით ადვილია და ბევრ ამომხსნელს იზიდავს. დამწყები პრობლემისტიც, როგორც წესი, თავის ძღლებს პირველად ამ სახეობაში სცდის. მართლაც, ერთი შეხედვით, სვლების რაოდენობა, რომელიც საშამათო კომბინაციის „შეთხზვას“ სჭირდება, ძალიან ცოტაა — სულ სამი სვლა (ორი თეთრების, ერთიც — შავების), რაც თითქოს სიუჟეტს ამარტივებს და ამოცანის შედგენას აადვილებს. ამიტომაც შედგენის ანბანი ორსვლიანით იწყება. თუმცა ერთია ორსვლიანი ამოცანის შედგენა და მეორე — კარგი ორსვლიანი ამოცანის შედგენა.

ჟანრმა (მისი ისტორია საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს) უდიდესი გავლენა მოახდინა მთელს საამოცანო კომპოზიციაზე, რადგან თემების და იდეების უდიდესი ნაწილი სწორედ ორსვლიანის წიაღში იშვა. მას სამართლიანად თვლიდნენ ახალი იდეების ლაბორატორიად. ამჟამად მისი როგორც მინიატურული ფორმა, ისე მრავალფეროვანი თემატიკა ფართოდ და თითქმის სავსებით დამუშავებულია. ამიტომაც ახალი სიტყვის თქმა ორსვლიან ამოცანაში ძნელია და მას განსაკუთრებული ნიჭი, შედგენის მაღალი ტექნიკა და ფართო ერუდიცია სჭირდება.

საბედნიეროდ, საქართველოს ჰყავს ასეთი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება ბატონ გივი მოსიაშვილის სახით, რომელიც წარმატებით აგრძელებს ჩვენი ოსტატების ა. დობროჯგინიძის, ი. კრიხელის, ო. ტაბიძის, ი. ზოსტის სახელოვან ტრადიციას. მისი დებიუტიც სწორედ ორსვლიანით დაიწყო — 1968 წელს „სოფლის ცხოვრებაში“, როცა იგი თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. დღეს კი ქალაქ რუსთავის მკვიდრი (სადაც № 10 საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს) — ცნობილი საჰადრაკო კომპოზიტორი და საქართველოს ნაკრების აქტიური წევრია, ვისაც მრავალ ჟანრში მუშაობა ხელეწიფება. ამაზე მეტყველებს მისი სპორტულ-შემოქმედებითი მიღწევები სხვადასხვა სამამულო და საზღვარგარეთულ კონკურსებსა და გუნდურ მატჩებზე. მაგრამ ორსვლიანი ამოცანა მაინც რჩება მისი ორიგინალური და საინტერესო იდეების განხორციელების სფეროდ. ეს გარემოება გვაფიქრებინებს და იმედს გვისახავს, რომ გ. მოსიაშვილის მიზანსწრაფულმა ძალისხმევამ ამ კლასიკური ჟანრის განვითარებას ახალი ელვარება უნდა შემატოს.

გ. მოსიაშვილი, 1988



შამათი 2 სვლაში

საწყის პოზიციაში არსებობს ილუზორული თამაში: 1... bc 2.ედ4X, 1...ჯe6 2. ედ2X. მცდარი კვალია: 1. მd8? (ორმაგი მუქარით — 2. ედ4 და ედ2X) 1....ჯ:d8 2. ეe5X, 1.... მ:e3 2. ლ:f3X, მაგრამ 1...ეg2! ამოცანას ხსნის 1. ლh6! (2. მb4X) 1.... მd4+ 2. ე:d4X, 1... მd2+ 2. ე:d2X (ილუზორულ თამაშთან შედარებით აქ შავების დაცვები შეიცვალა, ხოლო შამათები იგივე დარჩა — „რეხლისის თემა“!), 1.... bc 2.ლ:c6X, 1.... ჯe6 2.ლ:e6X (აქ კი, ილუზორული თამაშის იგივე დაცვებზე ახალი შამათები გაჩნდა — „უბრალო შეცვლის თემა“). აღნიშნულმა ამოცანამ ჟურნალ „64“ წლიურ კონკურსზე მესამე საპატიო შეფასება დაიმსახურა.

წარმატებით ადგენს გ. მოსიაშვილი მინიატურულ ამოცანებსაც, რომელთა ნაწილიც შესულია ა. ტიშკოვის და ვ. ჩეპიჟნის მიერ 1987 წ. მოსკოვში გამოცემულ წიგნში „საჰადრაკო ამოცანა-მინიატურები“. ამოსახსნელად გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

გ. მოსიაშვილი, 1982



შამათი 2 სვლაში.

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი გივის მოღვაწეობა კომპოზიციის პოპულარიზაციის ხაზით. უკვე რამდენიმე წელია იგი ხელმძღვანელობს გაზეთ „რუსთავის“ საჰადრაკო რუბრიკას, სადაც სისტემატურად ქვეყნდება როგორც ორიგინალური, ისე სხვადასხვა ავტორის ცნობილი ნაწარმოებები, ეწყობა კონკურსები ამომხსნელთა და შემდგენელთა შორის. აზლაც, იქ მიმდინარეობს კომპოზიციების (ორ, სამ და მრავალსვლიანი ამოცანები) შედგენის 1991 წლის კონკურსი, რომლის [illegible] ვადად 3. წ. 30-ნოემბერი. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რუსეთი, ორგანიზაციული (ამოუცნობელი) ამოცანები შეუძლიათ გამოგგზავნონ შემდეგ მისამართზე: 383040, რუსთავი, თოდრიას ქ. 11, გაზეთ „რუსთავის“ რედაქციას, „საჰადრაკო კონკურსი — 1991 წ.“.

ამოხსნა

„ლელოს“ 1990 წლის 23 დეკემბერს დასტამბული გ. რინდერის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ჯe2! (2.მფd3+) მფd5 2. მფb3!, 1....მფe4 2. მფc2! 1....მფe6 2. მფc4, 1...მფf5 2. მფd3! ზესტაფონელი ჯ. მახათაძე ფიქრობს, რომ შეიძლება 2. მფc2.-ც, მაგრამ მაშინ 2....ე:g8! და შამათი არ არის!). საინტერესო ამოცანაა „შავ-თეთრი ჯვრის“ თემაზე.

ა. წ. 1 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო საჰადრაკო გამოცანებისა და თავსატეხების ჟანრის ოსტატის რევაზ თავარიანის ორიგინალური ნაწარმოები, რომლის უჩვეულო დავალებამ ჩვენი მკითხველების ინტერესი გამოიწვია. ამომხსნელებმა გვაცნობეს, რომ „ერთიანის“ გამომსახველი ყველა ფიგურა უნდა გადაადგილდეს g ვერტიკალის პირველ ოთხ უჯრაზე. მხოლოდ მაშინ ამოიხსნება ეს ორსვლიანი ამოცანა (1.ლf1!), რომელიც ამასთან, პირობითად 1991 წლის გამოსახულებასაც მიიღებს. სწორედ ამ წლის დაწყება მოულოცა ცნობილმა თბილისელმა პრობლემისტმა ჩვენს მკითხველებს.

ნაწარმოების ზუსტი ამოხსნა პირველებმა გამოგზავნეს გიორგი და გაგა დათიაშვილებმა (ზესტაფონი), მიხეილ ყოჩიაშვილმა (რუსთავი), ხოლო ემზარ საბეკიამ (სოფ. კირცხი, ჩხოროწყუს რ.) დეპეშით ამოხსნასთან ერთად გვაცნობა: „თავარიანის ამოცანაში გამოსახულია 1991 წელი. იგი ახალ-ახალი ფამარჯვებების, სიხარულის, ბედნიერების წელი ყოფილიყოს ყველა ქართველისათვის“.

ევროპეთის ფეხბურთის ამბები

„ტოტენჰემს“ ვერც ბესკოვინი შველის

ლონდონი. ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერთა სამეულში არაფერი შეცვლილა. დაწინაურებულია „არსენალი“, რომელმაც 33 მატჩში 72 ქულა მოაგროვა (შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებისათვის 3 ქულა ირიცხება). 64 ქულით მეორე ადგილზეა „ლივერპული“, რომელმაც ერთით ნაკლები შეხვედრა ჩაატარა. 58 ქულით (ასევე 32 თამაშის შემდეგ) მესამეა „კრისტალ პალასი“.

„ტოტენჰემს“ ჯერჯერობით ვერ უშველა მისი ლიდერის — პოლ გასკოინის მწყობრში ჩადგომამ, ბრიტანეთის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ერთი თვის წინ მუცლის კუნთის რთული ოპერაცია გაიკეთა და ჯერ ჩვეულ ფორმაში არ არის. ბოლო, 32-ე ტურის შეხვედრა „ტოტენჰემმა“ „ნორვიჩთან“ დათმო — 1:2.

პრეზიდენტები ვერ შეთანხმდნენ, თუმცა..

მილანი. იტალიის კლუბ „მილანის“ პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონისა და მისი მადრიდელი კოლეგის „რეალის“ პრეზიდენტის რამონ მენდოსას საიდუმლო მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ მენდოსას უნდოდა მილანელთა მწვრთნელის არიგო საკისა და თავდასხმელის რუუდ გულიტის გადაბირება. ამაში „რეალი“, როგორც ამბობენ, საკმაოდ დიდ თანხას იხდიდა.

და მაინც საფიქრებელია, რომ მომავალი სეზონიდან „მილანში“ არ დარჩებიან არც საკი და არც გულიტი. მწვრთნელმა ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად განუცხადა ჟურნალისტებს. გულიტს კი, ბერლუსკონის განცხადებით, „მილანში“ შეცვლის იუგოსლავიელი რობერტ პროსინეჩკი, რომელიც ამჟამად „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობს.

დებიუტანტის მტკიცე ხასიათი

ათენი. საბერძნეთის ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 26-ე ტურში საგანგებო შემთხვევა მოხდა: მოედნიდან გააძევეს ყოფილი ტორპედოელი, ამჟამად „ოლიმპიაკოსის“ თავდასმსმელი იური სავიჩევი, რომელმაც ხელი გაარტყა მეტოქეს. ამ დროისთვის (59-ე წუთი) „ოლიმპიაკოს“ — პაოკ-ის შეხვედრის ანგარიში იყო 1:1. საბოლოოდ „ოლიმპიაკოსი“ დამარცხდა 2:3 და 36 ქულით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ წესრიგის დამრღვევ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა არ ასცდება.

ამასობაში გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „პანათინაიკოსმა“ სტუმრად მოუგო „ქსანტის“ — 3:1, 41 ქულა მოაგროვა და კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა. მესამე ადგილზეა ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტი „პანიონიოსი“ (34 ქულა), რომელმაც შინ ფრედ დაამთავრა შეხვედრა (2:2) „პანსერაიკოსთან“.

ხელმძღვანელი ბრძანებულებანი

ეძებენ მარადონას შემცვლელს

იტალიის „ნაპოლი“, რომელშიც ამჟამად დისკვალიფიცირებული არგენტინელი ფეხბურთელი მარადონა გამოდიოდა, ეძებს ახალ მოთამაშეს, რომელიც რამდენადმე მაინც შეძლებს დასჯილი ოსტატის ფუნქციების შესრულებას. „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ 13,5 მილიონი დოლარი შესთავაზა მიუნხენის „ბაიერნს“ დანიელი ფეხბურთელის ბრაიან ლაუდრუპის სანაცვლოდ, თუმცა, უცხოეთის საფეხბურთო წრეები ეჭვობენ, რომ ლაუდრუპი შეძლებს მარადონას შეცვლას.

ამავე დროს, არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ განაცხადა, რომ არგენტინის ნაკრები 15 თვის დისკვალიფიკაციის შემდეგაც სიამოვნებით მიიღებს დიეგო მარადონას.

ჩინებული მეკარე

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, აშშ-ის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელიც მსოფლიო პირველობის მასპინძელია, პირველხარისხოვანი მეკარე ჰყავს — მარკ დოდი. ამერიკელების საწვრთნელი მატჩების სერიაში დოდმა მეტად თანაბრად და ძლიერად ითამაშა.

აჯობებს ჯაიჩს?

იუგოსლავიის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ითამაშა ცნობილმა თავდამსხმელმა დრაგან ჯაიჩმა — 85 — იგი კი, როგორც ცნობილია, კარგა ხანია გამოეთხოვა მწვანე მინდორს.

ახლა ზლატკო ვუიოვიჩს საშუალება ეძლევა აჯობოს დ. ჯაიჩს. საქმე ისაა, რომ ვუიოვიჩმა ნაკრებში 70 მატჩი ითამაშა და ახლა მის საუკეთესო წევრად ითვლება. მის ტყუპისცალს ზორან ვუიოვიჩს კი მწვრთნელი ივიცა ოსიმი შემოსწყრა და ნაკრებში კარგა ხანია აღარ იწვევენ.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

რესპუბლიკის გაფიცულ რკინიგზელებს და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების მუშაკებს თავისი ხმა შეუერთა საქართველოს სპორტული ლატარიების რესპუბლიკურმა საწარმომ და 11 აპრილიდან წარმოებამ შეწყვიტა ბილეთების რეალიზაცია. იგი ახდენს მხოლოდ ადრე გაყიდული ბილეთების „ბე“ ნაწილების მიღებას და დამუშავებას. პერიფერიებში მცხოვრებ სპორტული ლატარიების მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ ხარკინიგზო ტრანსპორტის შეჩერების გამო, რაიონებიდან „ბე“ ნაწილების მიღება შეწყვეტილია. საერთოდ კი, „ბე“ ნაწილების მიღება იწარმოებს მე-18 ტირაჟის ჩათვლით.

საქსპორტლოტო

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს თანამშრომელს ცისანა ჩიტიშვილს მამის

ნიკოლოზ ჩიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ვ. ქორქია, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380004
თბილისი, ზ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივანი — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი“ — 98-97-26, „მარიჯვ“ — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, ზ. კოსტავას, 14. ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სიშარაულის, 26.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20